საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის საგნების მოკლე აღწერა

სავალდებულო საგნები

1. **„აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი და მეთოდები“ - ლექტორი მარიამ ფანჯიკიძე**

კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ სოციალური კვლევის ძირითადი ასპექტები და მეთოდები, კვლევის ძირითადი პრინციპები, მისი ბაზისური ეპისტემოლოგიური, მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხები, აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები. თეორიული საკითხების გაანალიზებასთან ერთად სტუდენტებმა განავითარონ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ჩატარების უნარები: კვლევის საკითხის (ჰიპოთეზის) ფორმულირება, კვლევის დიზაინის დაგეგმვა, კონკრეტული მეთოდის შერჩევა, მონაცემებთა შეგროვება, ანალიზი და შედეგების წარმოდგენა, კვლევის საბოლოო ანგარიშის წარდგენა APA-ს სტანდარტის მიხედვით.

კურსი სტუდენტებს განუვითარებს კვლევის კრიტიკული შეფასების უნარს. სტუდენტები გაეცნობიან მეცნიერული კვლევის სწორი დაგეგმვისთვის საჭირო ცნებებსა და პროცესებს, რაც დაეხმარებათ ერთმანეთს დაუკავშირონ თეორული, ემპირიული და მეთოდოლოგიური საკითხები.

2. **„ფსიქომეტრია“ - ლექტორი თამარ ჩხაიძე**

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ტესტის შექმნის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, ფსიქომეტრული ანალიზის ძირითადი მოდელები, დავალებების შექმნის ძირითადი პრინციპები. სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას პიროვნული ტესტების ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმების სფეროში კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამის (SPSS) გამოყენებით.

3. **„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“ - ლექტორი თინათინ ჩხეიძე**

კურსის მიზანია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებების მიმოხილვა; ძირითადი თეორიული და ემპირიული მასალის გაცნობა და გაანალიზება.

4. **„გავლენის ფსიქოლოგია“ - ლექტორი თინათინ ჩხეიძე**

სასწავლო კურსის მიზანია გავლენის ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ცოდნა, გავლენის ფსიქოლოგიაში გამოყენებული ზემოქმედების საშუალებების ცოდნა და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარის შემუშავება, შეძენილი ცოდნის საფუძველზე რეალური და სიმულირებული სიტუაციების გაანალიზება და მათი გადაჭრისათვის შესატყვისი გზების მოძებნა.

5. “გენდერის ფსიქოლოგია“ - ლექტორი ნანა ბერეკაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია, გენდერული კომპეტენციის განვითარება, გენდერული მგრძნობელობის განვითარება, ძირითადი გენდერული თეორიების და მიდგომების გაცნობა, გენდერული ანალიზის უნარის განვითარება, გენდერული კვლევის ჩატარების უნარის განვითარება.

6. „პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა“ - ლექტორი თამარ ტურაშვილი

კურსის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა პერსონალის ფსიქოდიაგნოსტიკაში, ტესტის თეორიასა და მეთოდოლოგიაში. მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტი შეძლებს იმუშაოს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში.

7. „ფსიქოლოგიის განვიტარების თანამედროვე ტენდენციები“ - ლექტორი ირაკლი იმედაძე

თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიული შინაარსის ათვისება. ფსიქოლოგიის მთავარი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური პრინციპების ათვისება-გააზრება.

8. „საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი“ - ლექტორი მამუკა მახათაძე

კურსის მიზანია მსმენელთათვის თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის საფუძვლების გაცნობა. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებული იქნება მენეჯმენტის იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც წარმატებული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მართვისთვისაა აუცილებელი.

9. „საორგანიზაციო ქცევა“ - ლექტორი თინათინ ჩხეიძე

მაგისტრანტმა საფუძვლიანად უნდა აითვისოს საორგანიზაციო ქცევის სფეროში არსებული მოდელები და პროგრამები. მან უნდა შეძლოს მოცემული დისციპლინის ფარგლებში მიწოდებული მასალის ინტერპრეტირება მენეჯერის პოზიციიდან მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით; მენეჯერის პოზიციიდან რეალური და სიმულირებული სიტუაციების გაანალიზება და მათი გადაჭრისათვის შესატყვისი გზების მოძებნა.

10. „სტრესის ფსიქოლოგია: თეორია და პრაქტიკა“ - ლექტორი რამაზ საყვარელიძე

სასწავლო კურსის მიზანია - მაგისტრანტები გაეცნონ სტრესის თეორიასა და პრაქტიკას; სტრესის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, სტრესის სახეებს; ისწავლონ სტრესის იდენტიფიკაცია და დაეუფლონ მისი მართვის ხერხებს.

არჩევითი კონცენტრაცია

1. **“მართვის /ორგანიზაციული ფსიქოლოგია“ - ლექტორები თამარ ტურაშვილი, რუსუდან მშვიდობაძე, ანა დიაკონიძე**

კურსის მიზანია სტუდენტებმა აითვისონ მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სისტემა და შეძლოს მისი მისადაგება ცხოვრების რეალობასთან, გააცნოს სტუდენტებს შრომის, როგორც სოციალური ფენომენის არსი, მიაწოდოს ინფორმაცია შრომის ბაზარზე ძირითადი სოციალური ინტიტუტების ფუნქციონირების შესახებ.

2. **„პოლიტიკური ფსიქოლოგია“ - ლექტორები რამაზ საყვარელიძე, ქეთევან მუხიგული, რევაზ ჯორბენაძე, ლევან ასათიანი**

კურსის მიზანია სტუდენტმა აითვისოს პოლიტიკური ფსიქოლოგიის სისტემა და შეეძლოთ მისი მისადაგება პოლიტიკური ცხოვრების რეალობასთან.

კურსის ფარგლებში შეისწავლება პოლიტიკური თეორიის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები ანტიკურობიდან ახალ დრომდე.

სავალდებულო არჩევითი საგნები

1. **„ადამიანური რესურსების მართვა“ - ლექტორი ირმა ოქროპირიძე**

კურსის მიზანია სტუდენტთა უზრუნველყოფა სრულფასოვანი განათლებით ადამიანური რესურსების მართვაში. დღევანდელი სამუშაო გარემო ძალიან სწრაფად იცვლება, ორგანიზაციები ეძებენ კადრებს, რომლებიც შეძლებენ სწრაფ ადაპტირებას საკუთარი თავის ცვალებად და დივერსიფიცირებულ გარემოსთან, ისინი ახდენენ ინვესტირებას სხვადასხვა ცოდნის თუ გამოცდილების მქონე ადამიანებში, რაც ხდის ადამიანური რესურსების ფუნქციას კრიტიკულს კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის.

2. **„არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი“ - ლექტორი თამარ კობერიძე**

კურსის მიზანია მონაწილეებს გააცნოს არამომგებიანი სექტორის წარმოშობის ისტორია პოსტ-საბჭოთა სივრცეში და მისი განვითარების ძირითადი პრინციპები და ღირებულებები. ყურადღება მიექცევა არამომგებიანი ორგანიზაციების ორგანიზაციულ მართვას. ასევე განიხილება არამომგებიანი ორგანიზაციების საკანონმდებლო ბაზა, ფინანსური მდგრადობისა და მარკეტინგის საფუძვლები.

3. **„მანიპულაცია კომუნიკაციის პროცესში“ - ლექტორი ზურაბ მხეიძე**

სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს მანიპულაციის ტექნიკა და მეთოდები.

4. **„მარკეტინგი“ - ლექტორი კოკა ქამუშაძე**

კურსის მიზანია მარკეტინგის ისტორიის, ძირითადი პრინციპების და თანამედროვე ტენდენციების გაცნობა. საბაზისო ცოდნის მიღება მარკეტინგის სფეროში.

5. „მართვა და კომუნიკაცია“ - ლექტორი ზურაბ მხეიძე

სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს კომუნიკაციის ფორმები და მათი მნიშვნელობა მართვის პროცესში .

6. „მართვის სოციოლოგია“ - ლექტორი ქეთევან მუხიგული

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ საქმიანობის თანამედროვე მიდგომები, მეთოდები და პრიორიტეტული მიმართულებები, რაც მათ შემდგომში დაეხმარება სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციების სტატეგიის სწორად განსაზღვრაში, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში, საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვაში, საკადრო პოლიტიკის სოციოლოგიურ უზრუნველყოფაში, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრაში.

7. „პოლიტიკური დისკურსის კონტენტ-ანალიზი“ - ლექტორი ხათუნა მაისაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს აკადემიური ცოდნა ზოგადად დისკურსის, კონკრეტულად პოლიტიკური დისკურსის პარადიგმის, მისი შესწავლის მიდგომებისა და კონტენტ-ანალიზის როგორც საკვლევი ტექნიკის შესახებ.

8. „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ - ლექტორი მარიკა დარჩია

კურსის ძირითადი მიზანია - საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც დისციპლინის, ისტორიული ფესვების და ძირითადი პრინციპების შესწავლა, ისტორიული მაგალითების გაანალიზება და პრაქტიკულით განმტკიცება. ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამუშაოს მიზნების და ამოცანების იდენტიფიცირება, მისი სტრატეგიის და გეგმის შემუშავება.

არჩევითი საგნები

1. „ ადამიანი შიზოიდურ სამყაროში“ - ლექტორი მზია გომელაური

კურსის მიზანია სტუდენტებმა გააცნობიერონ ადამიანის არსებობის სპეციფიკური ფორმები თანამდროვე ტექნოლოგიების საუკუნეში (გაუცხოვება, აპათია, აგრესია, პიროვნებათა შორისი კონტაქტის გართულება). მოცემული კურსი სტუდენტს აწვდის შესაძლებლობას დასვას ახალი კითხვები და რეფლექსიისაკენ უბიძგებს მას.

2. „ემოციის ფსიქოლოგია“ - ლექტორი დალი ბერეკაშვილი

ემოციის რეგულაციის ბაზისური ჩვევების ათვისება/განვითარება.

3. „ევოლუციური ფსიქოლოგია“ - ლექტორი დალი ბერეკაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტებმა შეიქმნან ადეკვატური წარმოდგენა ევოლუციური ფსიქოლოგიის შესახებ; ადამიანის ქცევის, ფსიქიკური პატერნების ევოლუციური წარმოშობისა და ფუნქციის შესახებ.

4. „ჯგუფთაშორისი ურთიერთობები“ - ლექტორი რუსუდან მშვიდობაძე

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებმა აითვისონ კონფლიქტის შესახებ არსებული თეორიები. შეძლონ კონკრეტული კონფლიქტის ყოველმხრივი ანალიზი. მოიძიონ კონფლიქტის გადაწყვეტის გზები, გაიაზრონ პიროვნებისა და გუნდის როლი კონფლიქტის ესკალაციის შესაჩერებლად, მიიღონ ამისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და შეძლონ მიღებული ცოდნის, პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება.

კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელებს უნდა შეეძლოთ მოლაპარაკებების სწორად დაგეგმვა და წარმართვა კონფლიქტურ სიტუაციაში. კურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს აგრეთვე, კონფლიქტის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენება.

5. „სოციალური ტრავმა, დევნილობის სტრესი და სოციალური ცვლილებების ტრენინგი“ - ლექტორი მანანა გაბაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია სოციალური და ინდივიდუალური ტრავმის მიმართ მგრძნობელობის განვითარება, სოციალური ტრავმის ინდიკატორების ამოცნობის უნარის განვითარება; ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების მიერ სოციალური ტრავმის უტილიზაციის კრიტიკული გააზრებისა და ამაზე მსჯელობის უნარის განვითარება. საქართველოსათვის აქტუალური - დევნილობის ტრავმის ფენომენის გაცნობიერება. სოციალური ცვლილებების ტრენინგის ტექნოლოგიის (აუგუსტო ბოალის მიხედვით) სწავლება მაგისტრანტებისათვის.

6. „სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგი“ - ლექტორი რუსუდან მშვიდობაძე

კურსის მიზანია სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფების (ტრენინგების) მართვის შესწავლა. ტრენერის კურსი აგებულია სწავლების აქტიურ მეთოდებზე და მიზნად ისახავს ტრენინგის სპეციფიკის გაანალიზებას, ტრენინგის არსისა და კომპონენტების შესწავლას, ტრენინგის ჩატარების გამოცდილების მიღებასა და სტუდენტის ტრენერებად ჩამოყალიბებას.

7. „ზეპირი ისტორიები - თეორია და პრაქტიკა“ - ლექტორი თინათინ ხომერიკი

კურსის მიზანია, მსმენელებს გააცნოს ზეპირი ისტორიის ძირითადი თეორია და მეთოდოლოგია; აღჭურვოს ისინი ზეპირი ისტორიების მეთოდით კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკული უნარებით.